ლიზი ქაშაკაშვილი

12/07/2005

სკოლა: **კავკასიის სამართლის სკოლა**

პროგრამა: **სამართალი**

კურსი: **II**

CU ელ. ფოსტა:**L_KASHAKASHVILI@CU.EDU.GE**

ჩემს შესახებ

მე ვარ კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სტუდენტი. კავკასიის უნივერსიტეტი ჩემთვის ასოცირდება როგორც სწავლების უმაღლეს ხარისხთან, ასევე ყველაზე თბილ და მეგობრულ გარემოსთან. CU ყოველდღიურად მაძლევს უამრავ შესაძლებლობას იმისა რომ განვვითარდე, მივიღო სიღრმისეული ცოდნა და შესაბამისად მოვახდინო ამ ცოდნის რეალიზება.

ჯერ კიდევ სკოლის პერიოდიდან ვცდილობდი რომ რაც შეიძლება მეტ აქტივობასა თუ პროგრამაში ვყოფილიყავი ჩართული, მიმეღო მრავალფეროვანი და გამოსადეგი გამოცდილება და შევხვედროდი ძალიან ბევრ საინტერესო ადამიანს. CU-ის ელჩობა კიდევ უფრო დამეხმარება იმაში, რომ შევიტანო ჩემი წვლილი სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზებასა და საერთაშორისო სტუდენტებთან ურთიერთობაში, რაც ვფიქრობ, რომ მუდამ იქნება ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე განსაკუთრებული ინტერესის სფერო. გავუზიარო საერთაშორისო სტუდენტებს ჩემი გამოცდილება, ქართული კულტურა და დავეხმარო მათ ადაპტაციის პროცესში, იმ გამოწვევების გადალახვაში, რომელიც ხშირად გაცვლით პროგრამას ახლავს.

რასაკვირველია, იყო CU-ის ელჩი ეს არის როგორც დიდი პასუხისმგებლობა, ასევე დიდი პრივილეგია და პატივი.

მოხარული ვარ რომ მომეცა იმის შესაძლებლობა, რომ მომდევნო ერთი წლის განმავლობაში ვატარო ეს სტატუსი. ნამდვილად საამაყო განცდაა იყო ამ დიდი ოჯახის წევრი, ემსახურებოდე საყვარელ საქმეს და ქმნიდე ყველასთვის სასურველ, თბილ და ღირებულებებით სავსე გარემოს.

მადლობა კავკასიის უნივერსიტეტს რომ ყოველთვის არის ხარისხიანი განათლების გარანტი, თითოეულ სტუდენტს კი საშუალებას გვაძლევს საერთაშორისო მასშტაბით შევქმნათ პერსპექტიული მომავალი.

კავკასიის უნივერსიტეტის ელჩი
CAUCASUS UNIVERSITY
AMBASSADOR